პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 აპრილი ოთხშაბათი 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 91 (15608)

ᲛᲔᲠᲐᲘᲔᲗᲐ ᲚᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ჩაის კრეფის დაწყებამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა. როგორ მოემზადეთ ჩაის კრეფის დაწყებისა და მისი მაღალხარისხოვნად გადამუშავებისათვის?!

საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი კულტურაა ჩაი. საბჭოთა კავშირში დამზადებული ჩაის პროდუქციის 95 პროცენტზე მეტს ჩვენი რესპუბლიკა იძლევა. ამიტომ არის, რომ ჩაის ფოთლის წარმოების, მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებისა და გადიდების საქმეს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ. ამ ზრუნვას კი საქართველოს სახელოვანი მეჩაიეები ახალ-ახალი წარმატებებით უპასუხებენ.

საქართველოს მეჩაიეთა გმირულ შრომას დიდი შეფასება მისცა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. „...ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების ბევრ ოჯახში, — თქვა მან,— და არა მარტო ჩვენი ქვეყნისა— სურნელოვანი ქართული ჩაის სმის დროს კეთილი სიტყვით მოიხსენიებენ თქვენი რესპუბლიკის მეჩაიეებს“... რაოდენ სასიხარულოა, რომ იცავდე, მუდმივად განამტკიცებდე ქართული ჩაის მარკის ღირსებას!

ჩაის მეურნეობის შემდგომი განვითარების, ქართული ჩაის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების, ჩაის ფოთლის კრეფის დაწყების სეზონისათვის მზადების საკითხები მთელი სეროზულობით, გულდასმით განიხილეს ამ დღეებში ზუგდიდში გამართული მეჩაიეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა, რომლის ვრცელი ანგარიში ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა.

საქართველოს მეჩაიეები, რომლებიც სახახელოდ ასრულებენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მხურვალედ გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას სოციალისტური შეჯიბრების გაწმენდა და ხუთწლედის მესამე წლის დამკვრელური შრომის წლად გამოცხადების შესახებ.

სისტემატურად იზრდება ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა, საშუალოდ ჰექტარზე რესპუბლიკაში შარშან მიღებულია 5 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება როდი შეიძლება, მით უმეტეს, როცა ჩაის მეურნეობაში რეზერვები, შესაძლებლობანი მთლიანად როდია გამოყენებული.

მეჩაიეობის რაიონებში არიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ვერ ასრულებენ ჩაის ფოთლის დამზადების სახელმწიფო გეგმას, არის აგროწესების დარღვევები, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის შესუსტების ფაქტები. ასეთი მდგომარეობა უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია ამ მეურნეობათა ხელმძღვანელების უნიათო, უპასუხისმგებლო მუშაობით, იმით, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები ორიენტირებენ ჩამორჩენას. კონკრეტულად, საქმის ცოდნით არ ხელმძღვანელობენ სათავეში ამ მეტად დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს.

შეუწყარებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ წელს ზედაეწერის, ვედიდკარის, ახალსენაკის, დიდ ჯვონის, მოქვისა და მთელ რიგ სხვა საბჭოთა მეურნეობებში პლანტაციების გადაბარვა აგროტექნიკური მოთხოვნების დარღვევით ჩაატარეს. მხგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა ჩოხატაურის, წყალტუბოს, ჩხოროწყუს, ვანეკორის, წულუკიძის რაიონებისა და აფხაზეთის ახს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში.

მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხია პლანტაციებში სამეჩხრის მოსობა, როგორ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ კოლხეთის დაბლობზე განლაგებული მთელი რიგი მეურნეობების პლანტაციებში სამეჩხრე 15-20 პროცენტს აღწევს და ამ მიზეზით იკარგება ათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული და ათობით ტონა არომატული ჩაის პროდუქცია.

მეჩაიეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ ჩაის ნედლეულისა და პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა ერთდროული კამპანია კი არ არის, არამედ მტკიცე კურსი და უწყვეტი საზრუნავი.

სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ ჩაის მეურნეობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვას. და რაც მთავარია, შემდგომ უნდა გავადიდოთ სამექანიზაციო ფართობები, სრულყოფილად, მაღალი წარმადობით გამოვიყენოთ ჩაის საკრეფი მანქანები — „საქართველო“ და „ჩა-900“. შარშან მექანიზებული კრეფის გეგმა ვერ შესრულდა. გეგმით გათვალისწინებული 28.650 ტონის ნაცვლად მოიკრიფა 26.800 ტონა ჩაის ფოთოლი. წელს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის გეგმა არა მარტო შევასრულოთ, არამედ მნიშვნელოვნადაც გადავაჭარბოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა მელიორატორებმა დიდი საქმე გააკეთეს, დღემდე მათს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანია. თათბირზე აღინიშნა, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ როგორც მელიორატორები. შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებებისა და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკები, ისე ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მუშაკები. საჭიროა გონივრულად მივუდგეთ ყოველი საკითხის შესწავლასა და გადაჭრას.

როგორც ყოველთვის, მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელიც რესპუბლიკის მეჩაიეებმა დამკვრელურ წლად გამოაცხადეს და აღუთქვეს პარტიასა და მთავრობას, რომ წელს საშუშბლოს მიცემენ 385 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, ხოლო ხუთწლედის ბოლოსთვის — 300 ათას ტონაზე მეტს. ჩვენს მეჩაიეებს სიტყვის გატეხა არ სჩვევიათ. ისინი სწორედ ამთავითვე იბრძვიან, რომ სანიმუშოდ მოემზადონ კრეფის სეზონისათვის. უნდა გავახსოვდეს, რომ „ბებმა — კბნონია, ვალდებულება კი ღირსების საქმე“.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის მზადებაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. აპრილში მთლიანად უნდა დამთავრდეს კრეფის სეზონისათვის მზადება. ამიტომ ყველგან, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უნდა განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი. რასაც სათავეში უნდა ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები. ამ საქმეში მთელი შემართებით თავისი სიტყვა უნდა თქვას ჩვენმა ახალგაზრდობამ, რომელმაც შარშან რესპუბლიკაში მოიკვანა ჩაის ხელით მოკრეფნობიდან მესამედზე მეტი მოკრეფა.

წელს საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი შეასრულოს თვითეულმა რაიონმა, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და მკვეთრად ამაღლდეს მოკრეფილი ნედლეულის ხარისხი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებისათვის. საჭიროა კარგად მოვამზადოთ საპლანტაციო გზები, ფარდულები, მიმღები პუნქტები, წყალსაწრეტი არხები. საკმაო რაოდენობით მოვიმარაგოთ საკრეფი კალათები, სატრანსპორტო ყუთები, ხასწორები, დროულად შევარჩიოთ, დავკომპლექტოთ ჩაის ფაბრიკებისა და მიმღები პუნქტების კადრები. მუშახელი, უზრუნველყოთ მანქანა-დანადგარების ყოველმხრივ მზაღოყოფნა შეუფერხებელი მუშაობისათვის მთელ სეზონში.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვდნენ ჩაის ფაბრიკები. მათ არც ერთი წუთით არ უნდა დაეყოვნონ ნედლეულის მიღება და გადამუშავება.

კიდევ რამდენიმე დღე და ჩაის ბუჩქები მოუხმობენ მკრეფავებს. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გაუთვალისწინებელი არ დაგვრჩეს არც ერთი „ულრალმანი“ საკითხი ჩაის კრეფის სეზონისათვის მზადებაში.

რიტმულობა, ორგანიზებულობა, დამკვრელური შრომა! აი ეს არის წარმატების მოპოვების მნიშვნელოვანი პირობა. წელს მკვეთრად უნდა გავადიდოთ ჩაის მექანიზებული კრეფა.

ფართოდ გავაჩაღოთ ლაშქრობა 285 ათასი ტონა ჩაისათვის. გვახსოვდეს, რომ დადებული პირობის შესრულება მეჩაიეთა სიცხლხორცეული საქმეა.

ᲛᲔᲠᲐᲘᲔᲗᲐ ᲚᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

- ᲮᲣᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲔᲛᲒᲠᲙᲔᲚᲘ ᲨᲐᲒᲐᲗᲝᲚᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲛᲝᲛᲬᲔᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.
- ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲐᲩᲐᲚᲝᲗ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐ 285 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

21 აპრილს კომუნისტური შაბათობაა!

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ

თბილისი. № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც პირველი კვარტალის პროდუქციის რეალიზაციის დავალება 101 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვებისა 102 პროცენტით შეასრულა, წარმატებით ემზადება კომუნისტური შაბათობისათვის. მეფეხსაცმელეებმა გადაწყვიტეს ამ დღეს დაზოგილი მასალებითა და ნედლეულით 500 წყვილი ფეხსაცმელი დაამზადონ, მთლიანად კი 5 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვან და გამომუშავებული ხელფასი 620 მანეთი გადარიცხონ ხუთწლედის ფონდში.

ფაბრიკის მმართველობისა და ტექნიკური მუშაკები იმუშავებენ საწარმოს საამქროების, ტერიტორიის, მიმდებარე ქუჩების დასუფთავებაზე.

ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივი რიტმულად და გამართულად შრომობს. ქიმიკოსებმა პირველი კვარტალის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 103,5 პროცენტით შეასრულეს, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი მანეთის სხვადასხვა პრეპარატები მიაწოდეს. აქ ერთსულოვნად ემზადებიან კომუნისტური შაბათობისათვის. ამ დღეს სამუშაოდ გამოვა 840 კაცი, ისინი დაზოგილი მასალით გამოუშვებენ 20 ათასი მანეთის პროდუქციას და გამომუშავებულ ხელფასს გადარიცხავენ ხუთწლედის ფონდში, დაასუფთავებენ ქარხნის ტერიტორიას, დარგავენ 1.000 ძირ ხესა და ბუჩქს, შეაგროვებენ 3 ტონა ჯართს.

ზუგდიდი. („კომუნისტი“ კორ.). მოსკოველთა თაოსნობას 21 აპრილს, ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს, შაბათობის ჩატარების შესახებ მხურვალედ გამოეხმაურნენ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები. ენგურის სამშენებლო ობიექტებზე იმუშავებს 5 ათასი კაცი და ისინი ხუთწლედის ფონდში 12 ათას მანეთზე მეტს გადარიცხავენ.

სიღნაღი. (საკ. კორ.). დიდი შაბათობისათვის გულმოდგინედ ემზადება ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა გადაზე ხუთი დღით ადრე შეასრულა, სამშობლოს მისცა ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. 21 აპრილს კომბინატის ყველა მუშაკი უკლებლივ გამოცხადდება სამუშაოზე და 2.300 მანეთის პროდუქციას გამოუშვებს.

კვარტალის დავალების შესრულებაში თავი ისახელეს აგრეთვე წნორის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა, აქ ახლა წარმატებით ემზადებიან შაბათობისათვის. მექანიკოსებს გადაწყვეტილი აქვთ ამ დღეს იმუშაონ მაღალნაყოფიერად და გამომუშავებული ხელფასი 5.000 მანეთი გადარიცხონ ხუთწლედის ფონდში. ისინი გაამწვანებენ სამეურნეო ეზოს, საამქროებში მისასვლელ გზებს.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲕᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შეჯიბრების ცხარე დღეებია სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. დაიწყო წლის მეორე კვარტალი, სოფლად დადგა გაზაფხულის სამუშაოების ხაშური დღეები. ბევრი მუშა, კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშაკი დღეს დამკვრელური შრომის მაგალითს აჩვენებს.

თბილისის № 36 პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა თბილისის ხაფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკაშირელში“ იამზე ჯოჯუა (სურათზე ზემოთ). იგი სრულყოფილად დაეუფლა მქსოველის პროფესიას და დღეს შეჯიბრების მოწინავეა, კომუნისტური შრომის დამკვრელია, ცვლის დავალებებს 130-135 პროცენტით ასრულებს.

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში სეზონისათვის მზად არის 42 ჩაის საკრეფი მანქანა, მათ შორის 11 აგრეგატი „ჩა-900“.

სეზონისათვის ტექნიკის მომზადებაში თავი გამოიჩინა მექანიზატორმა, ლენინის ორდენის კავალერმა კლიმენტი ლაშხიამ (სურათზე ქვემოთ). მისი მანქანა „საქართველო“ მზად არის ჩაის ფოთლის კრეფისათვის.

ვ. მორგუნოვისა და ხ. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲝ! ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ! ᲒᲐᲜᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲗ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ! ᲬᲛᲘᲓᲐᲓ ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲐ!

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სირიის არაბთა რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — სირიის ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების ევაკუაციის 27-ე წლისთავის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ** მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურ მდივანს, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს **ჰაფეზ ასადს.** სირიელ ხალხს, ნათქვამია დეპეშაში, ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, პროგრესული სოციალურ-ეკონომიური და დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებაში, ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისა და ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში. დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ მჭიდრო მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, რითაც დაკავშირებული არიან საბჭოთა კავშირი და სირიის არაბთა რესპუბლიკა, განუხრელად განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **მაჰმუდ ალ-აიუბს** გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულთბილად მიესალმება და შემდგომ წარმატებებს უსურვებს სირიას პროგრესისა და აყვავებისათვის ბრძოლაში სირიის არაბთა რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — უცხოეთის ჯარების ევაკუაციის 27-ე წლისთავის გამო, დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა კვლავაც საბჭოთა და სირიელი ხალხების ინტერესებს ემსახურება.

(საკ.).

ᲓᲔᲙᲐᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲐ

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს შეიხ **მუჯიბურ რაჰმანს** გაუგზავნა მისალოცი დეპეშა.

სპასუხო დეპეშაში ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს მილოცვისათვის და მშვიდობა, აყვავება და კეთილდღეობა უსურვა.

ა. ნ. კოსიგინისა და **მ. რაჰმანის** დეპეშებში გამოთქმულია რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა განმტკიცდება და განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ. (საკ.).

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

17 აპრილს მოსკოვში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 62-ე სხდომა. სხდომაზე განიხილავენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს კომპლექსური პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული მომავალ ქვეყნების ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებს.

სხდომას თავმჯდომარეობს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ფ. ჰამოუზი. (საკ.).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1973 წლის 12 აპრილს ჩამოვიდა და საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იქნება 19 აპრილამდე მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლუის ეჩევერია მეფულიიურთ.

პრეზიდენტმა ლ. ეჩევერიამ გვირგვინებით შეამკო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი. პრეზიდენტისა და მისი თანამხლები პირების აქ ყოფნის პროგრამაში შედის სამრეწველო საწარმოების, აგრეთვე კულტურულ და ადმინისტრაციულ დაწესებულებათა დათვალიერება როგორც მოსკოვში, ისე ქალაქებში ლენინგრადსა და ირკუტსკში; კერძოდ, მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბრაკსკის ჰიდროელექტროსადგურის დათვალიერება.

საბჭოთა მხარემ აღნიშნა, რომ გულთბილი შეხვედრა, რომელიც ყველგან მოუწყეს სპატიო სტუმრებს, იმის დამაჯერებელი დადასტურებაა, რომ საბჭოთა ხალხი პატივს სცემს, შეგობრული გრძნობებით და სიმპათიით ეკიდება შრომისმოყვარე მექსიკელ ხალხს.

ვიზიტის დროს გაიმართა საბჭოთა კავშირ-მექსიკის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ელჩი მექსიკაში ნ. ძ. ტარასოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი დ. ა. ფუკოვი;

მექსიკის მხრივ: მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლუის ეჩევერია, მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ემილიო ო. რაბასა, მექსიკის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ფლისერ მენდოსა ბერეუტო, მექსიკის ელჩი საბჭოთა კავშირში როკე ბონსალეს სალასარი. მოლაპარაკებას ესწრებოდა მექსიკის ეროვნული კონგრესის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე სენატორი პროფესორი ენრიკე ოლივარეს სანტანა.

მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ გამოთქვა მისწრაფება განავითარონ და განამტკიცონ სსრ კავშირისა და მექსიკის მეგობრული კავშირურთიერთობა. ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-მექსიკის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე და ორივე მხარისთვის საინტერესო აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

მხარეებმა კმაყოფილებით დაადასტურეს, რომ სსრ კავშირსა და მექსიკას შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა, რომელიც შეესაბამება საბჭოთა და მექსიკელი ხალხების ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს. ეს ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სახელმწიფოთა სრული თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის ცხოველმყოფელობის კარგი მაგალითია.

საერთაშორისო პრობლემების განხილვისას მხარეებმა აღნიშნეს, რომ ამ ბოლო დროს მსოფლიოში მოხდა მთელი რიგი კეთილსასურველი ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებასა და სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესებას. საბჭოთა კავშირი და მექსიკა კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების უზრუნველყოფისათვის.

მხარეები მიესალმნენ ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ პარიზის შეთანხმების დადებას. საბჭოთა კავშირსა და მექსიკამ საჭიროდ ცნეს, რომ ეს შეთანხმება მტკიცედ და განუხრელად შესრულოს ყველა ხელმომწერმა მხარემ. გამოთქვა იმედი, რომ აღნიშნული შეთანხმება ხელს შეუწყობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მტკიცე მშვიდობის დამყარებასა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

ორივე მხარემ გამოთქვა შეშფოთება ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის გაძლიერების გამო, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს, და საჭიროდ ცნო დამყარდეს სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა ამ რაიონში უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის 242-ე რეზოლუციის შესაბამისად.

საბჭოთა კავშირი და მექსიკა მხარს უჭერენ ქვეყნების მიერ წამოყენებულ წინადადებებს, რომელთა მიზანია სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა, სახელმწიფოთა ეკონომიური კავშირურთიერთობის გადაქცევა სოციალურ-ეკონომიური განვითარების დაჩქარების ეფექტიან საშუალებად. ამასთან დაკავშირებით მხარეებმა დაადასტურეს, რომ საჭიროა სწრაფად მომზადდნენ, მიიღონ და გამოაქვეყნონ „სახელმწიფოთა ეკონომიურ უფლებათა და მოვალეობათა ქარტია“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის III სესიის გადაწყვეტილების შესაბამისად. მათ საჭიროდ ცნეს, რომ ქარტიის მომზადებისას, ისევე, როგორც მრავალმხრივი ხასიათის სხვა დოკუმენტებშიც, გაითვალისწინონ ყველა ქვეყნის ინტერესები განურჩევლად მათი სოციალურ-ეკონომიური წყობილებისა, აგრეთვე სახელმწიფოების თანასწორუფლებიანი მონაწილეობა საერთაშორისო ეკონომიურ თანამშრომლობასა და მსოფლიო ვაჭრობის განვითარებაში.

მხარეებმა მიიჩნიეთ, რომ არის შესაძლებლობანი საბჭოთა კავშირისა და მექსიკის ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავებისათვის. ვაჭრობისა და ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და მექსიკის შეერთებული შტატების სავაჭრო შეთანხმებას. მიღწეულია თანხმობა, რომ უახლოეს მომავალში გაიმართოს მოლაპარაკება შეთანხმების დასადებად ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა დარგებშიც.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ დადებითი მნიშვნელობა აქვს 1968 წლის 28 მაისის შეთანხმებას „სსრ კავშირსა და მექსიკის შეერთებულ შტატებს შორის კულტურული და მეცნიერული გაცვლის შესახებ“, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს თანამშრომლობას მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. მხარეები შეთანხმდნენ შექმნან საბჭოთა კავშირ-მექსიკის შერეული კომისია, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული შეთანხმებით, და უახლოეს 60 დღეში გამართონ კომისიის პირველი სხდომა, რათა განიხილონ და მიიღონ კულტურული, მეცნიერული და ტექნოლოგიური თანამშრომლობის პროგრამა 1973-1974 წლებისათვის. ამ მიზნით ა. წ. 16 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ემილიო ო. რაბასამ ნოტები გაცვალეს.

გამოთქვა მზაღყოფნა გამართონ პერიოდული კონსულტაციები მხარეებს შორის ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

ორივე მხარის აზრით, მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ლ. ეჩევერიას ვიზიტი საბჭოთა კავშირში და გამართული საუბრები და შეხვედრები საბჭოთა ხელმძღვანელებთან დიდმნიშვნელოვანი წვლილია საბჭოთა კავშირისა და მექსიკის მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში. რაც შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და მექსიკის ხალხთა ინტერესებს და ემსახურება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

პრეზიდენტმა ლ. ეჩევერიამ მადლობა გამოთქვა ყურადღებისათვის. რომელიც მის მიმართ, მისი მეუღლისა და თანმხლები პირების მიმართ გამოიჩინეს და საბჭოთა ხელმძღვანელებისა და საბჭოთა ხალხის მხრივ მეგობრობის გამოვლინებისათვის.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲡ

17 აპრილს მოსკოვიდან გაეგზავნა მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ლუის ეჩევერია ალვარესი.**

მექსიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ლ. ეჩევერია და მისი მეუღლე გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინმა,** სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა **ი. ვ. ანდროპოვმა.**

საფრენ მოედანზე გამწკრივებ

პარტიული ცხოვრება

ფორმალიზმის ჭაობში

ახალციხის რაიონის სოფელ ჭობარეთის კარტიული ორგანიზაციის კრების ოქმები და მწარე სინამდვილე

საკითხი მეურნეობა რომ ყოველი პარტორგანიზაციის, თვითეული პარტბიუროს მუშაობის სარკეა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ამიტომ ჩვენც ამ ორგანიზაციის მუშაობის გაცნობა პარტიული კრებების ოქმებით დავიწყეთ.

ასპინძის რაიონის სოფელ ჭობარეთის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ა. ზედგინიძემ სეიფიდან სქელტანიანი საქაღალდე გადმოიღო, და წინ დაგვიწყო სუფთად, აკურატულად გთორმეტბული კომუნისტთა კრების ოქმები.

მათი მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პარეკრებზს პარტორგანიზაციაში თითქოს ყველაფერი რიგზეა: რეგულარულად ეწყობა კრებები, როშლებზეც განიხილავენ აქტუალურ საკითხებს, იმართება კამათი, იღებენ შესაბამის დადგენილებებს.

მაგრამ პარტიული კრებების გარეგნულად ამ ლამაზი ოქმების საფუძველიანი გაცნობა გაარწმუნებს, რომ ისინი ზოგადობასა და ზერელობაში ტყუპის ცალებივით გვანან ერთმანეთს. ზოგიერთი ოქმიდან იმასაც ვერ გაიგებთ, თუ რა აწუხებდათ კრებაზე დამსწრე კომუნისტებს, კონკრეტულად ვის რა დაეკალა შრომითი კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

მაგალითისათვის გავეცნოთ გასული წლის 26 იანვრის მოწყობილი პარტიული კრების ოქმს.

ამ დღეს ჭობარეთელი კომუნისტები განიხილავდნენ საკვების დამზადების საკითხს.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ, კომუნისტმა ვ. ჯვარიძემ, რომელიც მოხსენებით გამოვიდა ამ საკითხზე, კრების მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა თავის დროზედ, უოდანაკარგად აღების მნიშვნელობაზე, ამ საქმეში ყველა კოლმეურნის აქტიურ მონაწილეობაზე. მაგრამ ამასთან მან არასწორი აზრიც გააკეთა: თავა სანახევროდ გავთიბოთო.

კომუნისტებმა ა. ზედგინიძემ, ვ. ივანიძემ, ე. ივანიძემ, რომლებმაც საკითხის განხილვაში მიიღეს მონაწილეობა, ზოგადად თქვეს, ეს ეს ... ეს ... ...

მსოფლიო დღეს

პრლვეეინ შეთანხმებებს

კაენი, 17 აპრილი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ მემორანდუმით მიმართა ვიეტნამის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე ქვეყნების მთავრობებს. პარიზის შეთანხმებისა და მისი ოქმების ხელმოწერის შემდეგ, ნათქვამია მემორანდუმში, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა, ისევე როგორც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, მტკიცედ იცავდნენ ამ დოკუმენტების ყველა დებულებას. სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ხელისუფლებას დაქვემდებარებულ რაიონებში ხორციელდება ეროვნული თანხმობის პოლიტიკა და გარანტირებულია ხალხის უფლებანი. პარიზის შეთანხმების მე-8 მუხლის შესაბამისად სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუბრუნა 128 დატყვევებული სამხედრო მოსამსახურე და სამოქალაქო პირი, ხოლო ვიეტნამის რესპუბლიკის მთავრობას — 5.433 კაცი.

შემდეგ მემორანდუმში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და საიგონის ადმინისტრაცია სისტემატურად არღვევენ პარიზის შეთანხმების ბევრ მუხლს. 1973 წლის 28 იანვრიდან 28 მარტამდე საიგონის მხარემ 67.762-ჯერ დაარღვია აღნიშნული შეთანხმება. ეს დარღვევები, კერძოდ, იმით გამოიხატა, რომ მან ცეცხლი დაუშინა და დაბომბა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ხელისუფლების დაქვემდებარებული რაიონები. მოაწყო სახმელეთო ოპერაციები ამ რაიონების წინააღმდეგ. საიგონის ადმინისტრაციამ აგრეთვე უარი თქვა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობისათვის გადაეცა დატყვევებული ან დაპატიმრებული სამხედრო მოსამსახურენი. არ დაუბრუნა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებით რევოლუციურ მთავრობას არც ერთი სამოქალაქო პირი და არ უშვებს ასიათასობით სამოქალაქო პირს. მიუხედავად ამისა, მან სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებით რევოლუციურ მთავრობას გადასცა სია, რომელშიც სულ 5.000 კაცია. საიგონის ადმინისტრაცია აბრკოლებს ოთხმხრივი ერთობლივი სამხედრო კომისიისა და საკონტროლო და სამეთვალყურეო საერთაშორისო კომისიის საქმიანობას, მის კონტროლს დაქვემდებარებულ რაიონებში ამტკიცებს ძალადობის აპარატს, აწამებს მოსახლეობის უფლებებს, ხოლო

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის მემორანდუმი

□

ორი სამხრეთვიეტნამელი მხარის კონსულტაციებზე მისი დღეგაცია ყოველნაირად ცდილობდა შეეფერხებინა მოლაპარაკება. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სხვადასხვა ფორმით განაგრძობს სამხედრო ჩარევას სამხრეთ ვიეტნამში, კერძოდ, ამერიკის ჯარებმა იქ დატოვეს თავიანთი შეიარაღება, არ განუხორციელებიათ სამხედრო ბაზების დემონტაჟი, ამერიკის შეერთებული შტატები ვლაჟ უგზავნის საიგონის რეჟიმს სამხედრო ტექნიკას.

მემორანდუმი მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საიგონის ადმინისტრაციამ ბოლო მოუღონ პარიზის საერთაშორისო შეთანხმების დარღვევას, განუხორციელონ სრული პატივი და ვანახორციელონ ამ შეთანხმების ყველა დებულება, აგრეთვე „ვიეტნამის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის აქტის“ დებულებები.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა აცხადებს, „ვიეტნამის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის აქტის“ ხელმოწერ მთავრობებს პარიზის შეთანხმების 60-დღეზე მეტი ხნის პერიოდში შესრულების შესახებ და წინადადებას აძლევს, რომ შესაბამისმა მთავრობებმა გადაჭრით დაგმონ ამ შეთანხმების განუწყვეტელი დარღვევები და მოუწოდონ დამრღვევთ მტკიცედ დაიცვან შეთანხმება და „ვიეტნამის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის აქტი“.

ნიუ-იორკი შეწყდეს აგრესიის აქტები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

17 აპრილი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო განაგრძობს აგრესიის იმ მორიგი აქტის საკითხის განხილვას, რომელიც ისრაელმა ჩაიდინა ლიბანის წინააღმდეგ 10 აპრილს.**

გუშინდელ სხდომაზე პირველი გამოვიდა კაიროდან სპეციალურად ჩამოსული ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ეს-ზაიათი. მან ისრაელის მოქმედებას უწოდა ძალადობითა და ცინიზმით უპრეცედენტო აგრესიის აქტი, რომელიც წინასწარ დაგეგმეს და მოიწონეს ტელ-ავივის უმაღლესი თანამდებობის ხელმძღვანელებმა.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოიყვანა ახლო აღმოსავლეთში ისრაელის მიერ ჩადენილი აგრესიის აქტების გრძელი ნუსხა. მან ხაზი გაუსვა, რომ ისრაელის უკანასკნელ მოქმედებამი ახალი ყველაზე საშიში ელემენტი ის არის, რომ ძალადობას აშკარად აცხადებენ ისრაელის ოფიციალურ პოლიტიკად. ეს-ზაიათმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ უწევს მატერიალურ და სამხედრო დახმარებას აგრესორ სახელმწიფოს, რომელსაც უკვე ეკვნა წელია ოკუპირებული აქვს არაბული ტერიტორიები, უხეშად თელავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს და ამ ორგანიზაციის ყველა გადაწყვეტილებას. რომელთა მიზანია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგება.

პეკინის დელეგატმა სხვათაშორეს თქვა, რომ გმობს ისრაელის აგრესიულ აქტს, და შეეცადა ანტისაბჭოური ცილისწამების მეორე ტალღაში ჩაეძირა მთელი საქმიანი განხილვა. მას საკადრისი პასუხი გასცა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა.

უშიშროების საბჭო დღეს განაგრძობს ისრაელის აგრესიის საკითხის განხილვას.

ჰაიტი ტერორის ქვეყანაა

17 აპრილი. (საკდესი). ჰაიტის დიქტატორი ჟან-კლოდ დიუვალიე ცდილობს ფიზიკურად მოსპოს ოპოზიციის ყველა წარმომადგენელი. მან საპატიმროები „გვამების ფაბრიკებად“ აქცია. დილეგებში შეყრილი მამაკაცები, ქალები, მოხუცები და ბავშვები სასიკვდილოდ არიან განწირულნი.

ეს ნათქვამია განცხადებაში, რომელიც საზღვარგარეთის საინფორმაციო საagენტოების კორესპონდენტებს მესაცეს „ჰაიტიში პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისა და დემოკრატიის აღდგენისათვის ბრძოლის კომიტეტის“ წარმომადგენლებმა.

ჰაიტის საპატიმროებში, ნათქვამია განცხადებაში, ასობით მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლი იტანჯება. მათი ბევრი ამხანაგი უკვე დაიხოცა შიმშილით, აგადმყოფობით ან სიკვდილით დასჯის დიქტატორის ბრძანებისამებრ. პატიმრებს სასტიკად აწამებენ.

როცა პირსისხლიანი ფრანსუა დიუვალიე — ახლანდელი პრეზიდენტის მამა — ცოცხალი იყო, პატიმ[illegible]ი ქალაქგარეთ გაპყავდათ და იქ ხვრეტდნენ. ახლა, ნათქვამია განცხადებაში, ჰაიტელ პატრიოტებს შიგ საპატიმროში, ამხანაგების თვალწინ ხოცავენ. ხელისუფლები ცდილობენ დააშინონ და გასტეხონ ურჩები. ვინცა ტყვიას გადაურჩა, შიმშილის და

ბელგრადი

ალბანეთ-იუგოსლავიის ურთიერთობა

17 აპრილი. (საკდესი). ალბანეთ-იუგოსლავიის ურთიერთობა ბოლო ხანებში ცუდ მდგომარეობაშია. ეს ალბანეთ-ალბანეთ-ალბანეთ-

ვუბრუნდებით წერილს:

„როგორ ვასწავლით“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გასული წლის ივნისის ერთობლივმა დადგენილებამ „ახალგაზრდობის საყოველთაო და საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ“, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV კონგრესის დადგენილებათა შესაბამისად არის მიღებული, დიდი და საპატიო ამოცანების წინაშე დააყენა საქართველოს სსრ ეროვნული სკოლების რუსული ენის მასწავლებლები. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „ერთვულ სკოლებში უნდა გაუმჯობესდეს რუსული და მშობლიური ენების სწავლება“.

რუსულმა ენამ ღრმად შეაღწია ჩვენი ხალხის კულტურულ, ეკონომიურ და სამეურნეო ყოფაში, იგი იქცა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების დადებით სოციალურ ფაქტორად. სკოლა და ყოფა ერთიმეორეს ხელს უწყობს და ამიტომ ახლა ცოტა რიდია საშუალო სკოლადამთავრებულები, რომლებიც კარგად ფლობენ რუსულ ენას. მათი ნაწილი თავისუფლად განაგრძობს სწავლას საბჭოთა კავშირის რუსულ უმაღლეს სასწავლებლებში (მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ნოვოსიბირსკის, ოდესის, როსტოვის, კუბიშევის უნივერსიტეტებში, ტექნიკურ, სამედიცინო და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში). და მაინც რუსული ენის სწავლების მდგომარეობა ქართულ სკოლაში, განსაკუთრებით სოფლის პირობებში, ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს ამ საკნის სწავლების წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს. რუსული ენის მასწავლებელს დღის, როგორც არასდროს, მოეთხოვება მაღალი თეორიული და პრაქტიკული მომზადება თვით რუსულ ფილოლოგიაში, რუსული ენის პრაქტიკული ღრმა ცოდნა და რუსული ენის სწავლების უაღრესად განვითარებული მეთოდიკის კარი ცოდნა.

რუსული ენის მასწავლებელთა ასეთ მომზადებას უზრუნველყოფენ მეცნიერული კადრებით სათანადოდ დაკომპლექტებული რუსული ენისა და ლიტერატურისა და მისი სწავლების კათედრები. ამ მხრივ მდგომარეობა დღეს საქართველოს ყველა პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებელში თანაბარი არ არის. პერიფერიის უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში (თელავი, გორი, ბათუმი, ქუთაისი) სტუდენტთა მცირე კონტინგენტის გამო, ერთსა და იმავე სპეციალისტს უხდება იკითხოს ლექციები და ატაროს პრაქტიკუმები თანამედროვე რუსულ ენაში, რუსული ენის ისტორიაში, ძველ სლავურში, რუსული ენის სპეციალურ კურსში, სტილისტიკაში, რუსული ენის სწავლების მეთოდიკაში, რუსული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში, ენათმეცნიერებაში და სხვ. მაგრამ დღევანდელი მეცნიერების მაღალი დონის, მისი ყოველმხრივი დიფერენციაციის პირობებში თითქმის შეუძლებელი გახდა ცალკეული მეცნიერის ასეთი ყოველმხრივი უნივერსალიზმი. იგი ვერ ქმნის სათანადო პირობებს საგნისადმი დიდი სიყვარულისა და ღრმა განათლებისათვის, რაც, უდავოდ, საწინდარია კარგი განათლებული კადრების მომზადებისა.

პერიფერიაში არც შესაბამისი გაჩენია რუსული ენის პრაქტიკული დაუფლებისათვის და ლიტერატურაც ნაკლებად მოიპოვება. ამიტომ უფრო რაციონალური და მიზანშეწონილი იქნება ქართული სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადება წარმოებდეს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ჯერ კიდევ 1947 წლიდან თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს დაევალა ძირითადად რესპუბლიკის საშუალო სკოლებისათვის მოემზადებინა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. რამდენიმე წელს ეს დონისძიება ნაყოფიერად ხორციელდებოდა, მაგრამ შემდეგ, საქმის საზიანოდ, ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას რატომღაც თანდათანობით გამოეთხარა ძირი. ჯერ იყო და სხვა ფაკულტეტების მსგავსად რუსული ენის ფაკულტეტიც ორპროფილიანი გახდა (ქართულ-რუსული და ისტორია-ფილოლოგიური), მერე, მისაღები კონტინგენტი ამ სპეციალობაში მინიმუმამდე დავიდა და გაუთანაბრდა რესპუბლიკის სხვა პედაგოგიურ ინსტიტუტებს. ასეთმა დამოკიდებულებამ დიდი ზიანი მოუტანა რუსული ენის სწავლების საქმეს ჩვენს რესპუბლიკაში. მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სკოლებისათვის რუსული ენის მასწავლებელთა მომზადება თბილისის ა. ს. პუშკინის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალოს (თელავის, გორის, ქუთაისისა და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტები კი განთავისუფლდნენ ამ საქმისაგან ზემოდასახელებული და სხვა მიზეზების გამო). ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ ჩვენი ორი მეზობელი მოძმე რესპუბლიკის — აზერბაიჯანისა და სომხეთის მაგალითებიც. ბაქოსა და ერევანში სამი ათეული წლის წინ გაიხსნა სპეციალური რუსული პედაგოგიური ინსტიტუტები (ბაქოში ახუნდოვის სახელობის, ხოლო ერევანში — ბრიუსოვის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტები).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები რუსული ენის ფაკულტეტზე რუსულ სკოლადამთავრებულთა პროგრამ ებ ით წარმოებს, ამიტომ ფაკულტეტის აბსოლუტურ უმრავლესობას რუსული სკოლადამთავრებულები შედგენენ და სამუშაოზე განაწილებისას ისინი ყოველნაირად ცდილობენ თავი აარიდონ ქართულ სკოლას, ან თუ დათანხმებიან, მოსწავლეთა მშობლიური ენის უცოდინარობის გამო მუშაობა უჭირთ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დავალებით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტში მზადდება პროგრამები და სახელმძღვანელოები რუსული ენისა და ლიტერატურის სკოლისათვის. უახლოეს წლებში განზრახულია თბილისში, მათემატიკური სკოლის მსგავსად, გაიხსნას რუსული ენისა და ლიტერატურის გაღრმავებული სწავლების სკოლა-ინტერნატი, ეს მომავალში საშუალებას მოგვცემს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა ხარჯზე ძირითადად დაკომპლექტდეს თბილისის უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენის ფაკულტეტები, ხოლო ამ ორი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დაუბრუნდებიან თავიანთი სოფლის სკოლას და ამგვარად მოეწყობა ერგმაზომიერი მომზადება რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისა. შედეგიც, რა თქმა უნდა, სასურველი იქნება.

რუსული ენის სწავლების ხარისხი დაბალია დაწყებითს კლასებში (განსაკუთრებით დამოუკიდებელ დაწყებით სკოლებში), სადაც დღემდე მუშაობენ პერიფერიული საშუალო პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებმაც რუსული ენა სუსტად იციან. ამასთან, სწავლების მრავალი პროფილის გამო ვერც პედაგოგიური ინსტიტუტების დაწყებითი განათლების ფაკულტეტების კურსდამთავრებულნი ფლობენ ხელოვნურად რუსულ ენას. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა მომზადება ცალკე გამოიყოს,

ქართული სკოლის ვალია

ან შეუერთდეს რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებს. ეს მით უფრო გამართლებული იქნება, რომ არსებობს მხავრობის დადგენილება დამოუკიდებელ დაწყებით სკოლებში რუსული ენის სპეციალისტი მასწავლებლების მოწვევის შესახებ ისე, რომ დანარჩენ მასწავლებლებს განაკვეთი არ შეუმცირდეთ.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენის სწავლების მეთოდიკა საქართველოში ერთი შეხედვით საფუძვლიანად არის დამუშავებული (ი. გოგებაშვილისა და ს. ფურცელაძის მეთოდურმა შრომებმა და სახელმძღვანელოებმა კარგი სამსახური გაგვიწია რუსული ენის სწავლების სათანადოდ გამართვისათვის), იგი დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. თუმცა ი. გოგებაშვილისა და ს. ფურცელაძის მემკვიდრეობა კვლავაც დაუშრეტელ წყაროდ დარჩება ჩვენი მეცნიერების მომავალი ზრდისათვის. განსაკუთრებით ბოლო ათ წელიწადში გაღრმავდა და გაფართოდა რუსული ენის მეთოდიკის თვლების კვლევა, დამუშავდა საკვანძო საკითხები, შეიქმნა მეთოდიკის კურსები ძირეული პრობლემების მიხედვით, მაგრამ რაოდენობის ზრდამ გამოკვლევათა ხარისხი ზოგ შემთხვევაში დაბლა დასწია.

პედაგოგიკის დარგის მეცნიერულ გამოკვლევებში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს პედაგოგიკის პრაქტიკას, მის ისტორიას, ფიზიოლოგიას, ფსიქოლოგიას, პედაგოგიურ ექსპერიმენტს და საკუთრივ პედაგოგიკას.

დიდ ნაკლად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა უმაღლესი სასწავლებლების სპეციალური ფაკულტეტებისათვის პედაგოგიური პრაქტიკისა და თეორიის ერთიანი კურსის შექმნა-ჩამოყალიბება, რომელშაც უნდა განსაზღვროს მომავალი მასწავლებლის სახე, მისი პედაგოგიური და მეთოდური დახელოვნება.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი დიდი და მცირე შრომა მიეძღვნა რუსული და ქართული ენების შეპირისპირების პრობლემას, ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა ქართული სკოლისათვის რუსული ენის სწავლების ლინგვისტური საფუძვლების დამუშავება, რაც შემდეგ უნდა განსაზღვროს რუსული ლექსიკის, ფრაზეოლოგიისა და გრამატიკის მინიმუმის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებელი, ცალკე საფეხურებისა და კლასების მიხედვით, რვაწლიან და საშუალო სკოლაში.

ყველაზე მნიშვნელოვან სიახლედ ახალ პროგრამებში ზეპირი მეტყველების განსაკუთრებულად წინ წამოწევა მიგვაჩნია. იმის გამო, რომ მეცნიერულად დასაბუთებულია ზეპირი მეტყველების, როგორც მეთოდის, დიდი როლი არამშობლიური ენის დაუფლების საქმეში, ახალ პროგრამებში პირველად (საერთოდ, მეთოდიკის ისტორიაში) საკითხავი ლიტერატურის თანაბრად შეტანილია სპეციალური საუბრები. პროგრამის მიხედვით მეორედან მეათე კლასამდე ჩათვლით ყველა გაკვეთილზე უნდა იმართებოდეს საუბრები, რასაც 8-10 წუთი ეთმობა. ეს საუბრები რუსულ ენაზე სრულიად მოწყვეტილია შესასწავლ საპროგრამო მასალას. საქმე ის არის, რომ საუბრებს საპროგრამო მასალასთან დაკავშირებით არ ძალუთ შექმნან ენის დაუფლებისა და დამოუკიდებელი მეტყველების სიტუაცია, რადგან მოსწავლეებს მიდრეკილება აქვთ ყოველგვარი შრომა ნაკლები წინააღმდეგობის დაძლევის გზით შეასრულონ (ეს შრომის ბუნებაა საერთოდ), ამიტომ როცა საუბრები შესწავლილ მასალებზე წარმოებს, მოსწავლეები ჭეშმარიტად იზეპირებენ მასალას, გადმოგვცემენ დასწავლილის შინაარსს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებელ მეტყველებას ვერ ახერხებენ.

სპეციალურმა გამოკვლევამ დაგვარწმუნა, რომ არამშობლიური ენის შესწავლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ სამეტყველო პრაქტიკას აქვს. ჩვენ იმის მრავალი მაგალითი გვაქვს, რომ 5-6 წლის ასაკის ბავშვები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან საჭირო სამეტყველო გარემოთი, თითქმის თავისუფლად მეტყველებენ 2-3 ენაზე. ისიც ხომ ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის აღსაზრდელები თითქმის უნაკლოდ მეტყველებენ მშობლიურ ენაზე. როგორია ამ აღსაზრდელების, ბავშვების სიტყვათა მარაგი? ან რა კომპონენტებისაგან შედგება მათი მეტყველება? ლექსიკა + გრამატიკა? არა. მცირე ლექსიკა და მეტყველების კარგი პრაქ ტ ი კ ა. ცნობილია, რომ მეზვიდმეტე საუკუნის ინგლისელი ბერების ლექსიკა შედგებოდა 270-300 სიტყვისაგან, ამ მარაგით ის შესანიშნავად წარმართავდა მეურნეობას და, რაც მთავარია, ყველა თემაზე თავისუფლად მეტყველებდა. ამ ბოლო დროს ქართველმა ენათმეცნიერებმა შეისწავლეს ქართველ კოლმეურნე გლეხთა მეტყველების მდგომარეობა. ლექსიკა და მეტყველების საშუალებანი. აღმოჩნდა, რომ მთის რაიონებში, კოლმეურნეში, რომელმაც წერა-კითხვა იცის, მაგრამ საშუალო განათლება არა აქვს, 900-950-მდე სიტყვა იცის მშობლიურ ენაზე. ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა კარგად მეტყველებს ჩვენი კოლმეურნე გლეხი. მას სიტყვის მარაგი ან გამოთქმები არ შემოაკლდება მისთვის ცნობილ თემაზე საუბრისას თუ მსჯელობისას.

დიდი რუსი პედაგოგი კ. დ. უშინსკი წერს: „ბედნიერი იქნებოდა კაცობრიობა, რომ ადამიანს შეეძლოს დაეუფლოს მეორე ენას, ისე როგორც თავის მშობლიურ ენას ფლობს 5 წლის ბავშვი — მაშინ დღის წესრიგიდან მოიხსნებოდა ძვირადღირებული და ხანგრძლივი ხასიათის პედაგოგიური პრობლემები“.

დაწყებითს კლასებში მოსწავლემ 800 სიტყვა უნდა იცოდეს. ხოლო საშუალო სკოლის დამთავრებისას — 4500. არც ისე იშვიათად დაახლოებით სიტყვათა ამ რაოდენობას ფლობს მოსწავლე, მაგრამ ვერ მეტყველებს. მიზეზი მრავალია, მაგრამ მთავარი და განმსაზღვრელია სამეტყველო პრაქტიკის უქონლობა.

ახალ სასწავლო პროგრამებში ბევრი სასარგებლო სიახლეა შეტანილი, მაგრამ მასწავლებელთა ერთი ნაწილი უნაკლოდ ვერ იყენებს ამ სიახლეებს და რუსულ ენას ასწავლის გრამატიკის თეორიული მასალის დაზეპირების გზით. ამიტომ მოსწავლეთა ერთი ნაწილი, აწყდება რა სიძნელეებს, საგნისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენს. რადგან მოსწავლეებს უჭირთ საუბარი რუსულ ენაზე, პასუხების გაცემა. მასწავლებლები გაკვეთილებს ზოგან ქართულ ენაზე ატარებენ, რა თქმა უნდა, ასეთი ვითარებაში მოსწავლე რუსულ ენას ვერ დაეუფლება. ამიტომ მეტად დროულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს მასწავლებელთა ატესტაციის დაწესება, რომელიც, უეჭველად, დიდი სტიმული იქნება საქმით დაინტერესებული მასწავლებლებისათვის.

მასწავლებელთა ნორმალური მუშაობისათვის, მათი მეცნიერული და მეთოდური დახელოვნებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რომელთაც დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები ეწევიან, მაგრამ რაც აქამდე საკმაო იყო, მომავალში აღარ იკმარებს. ამიტომ პარტიამ და მთავრობამ ამ საქმეში შეიტანეს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაა ცხოვრების მზარდ მოთხოვნილებათა დონეზე.

რუსული ენის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია კარგად გამოცემული სახელმძღვანელოების, მეთოდიკური კურსების, სავარჯიშოთა კრებულების, საკითხავი წიგნების, სხვადასხვა სახის დამხმარე ლიტერატურის გარეშე. ამიტომ საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს საგამომცემლო საქმე. საქართველოს სკოლებისათვის არასოდეს არ გამოცემულა რუსული ენის სხვადასხვა სახის სასკოლო ლექსიკონები, რომლებზეც მოთხოვნილება ძალიან დიდია. საქართველოს სსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა და ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენის მეთ-დიკის კათედრამ ისე უნდა წარმართონ მუშაობა, რომ უახლოეს წლებში შექმნან რუსული ენის მეთოდიკის სწავლების სრული კურსი რვაწლიანი და საშუალო სკოლებისათვის. ეს კურსი სრულყოფილად ჯერ მხოლოდ დაწყებითი სკოლებისათვის არის გამოცემული.

ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებული ამოცანების დროულად და ხარისხიანად შესრულება ძირითადად უზრუნველყოფს რუსული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უყენებენ ეროვნულ სკოლას მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

პროფესორი

კ. მაჭარაშვილი,

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

ეაჟურებელი ნასა ჰრეეიერა

თელავი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მორიგ პრემიერად წარმოადგინა ა. მაკაიონკის ორმოქმედებიანი პიესა „ტრიბუნალი“. დადგმა და მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის გ. მაცხონაშვილს, მხატვრობა — დ. ბალარეიშვილს.

გალი. (საკ. კორ.). ათ წელზე მეტია, რაც გალის რაიონის კულტურის სახლშიც ახსენებს ქართული სახალხო თეატრი. თეატრს ამჟამად სათავეში უდგას საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი მ. ჩუბანიძე.

გალის სახალხო თეატრი ჩაბმული იყო საქართველოს სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაში. მასში მონაწილეობას მისაღებად აქ განახლებულ იქნა და უჩვენეს პიესა „სახსოვარი“. ამ სპექტაკლით გალის თეატრის კოლექტივი რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი გახდა.

ნაყოფიერად მუშაობს ონის სახალხო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი (რეჟისორი და მხატვრული ხელმძღვანელი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი გ. ჯაფარიძე). ახლახან მაყურებელმა ნახა ახალი სპექტაკლი — დ. ერისთავის ისტორიული პიესა „სამშობლო“. დადგმა და მხატვრული გაფორმება ეკუთვნის გ. ჯაფარიძეს.

თეატრი აღნიშნულ სპექტაკლებს უჩვენებს მეზობელ რაიონებში.

ნ. დუშეაშვილი.

„მზის სხივის“ გამარჯვება

ბოლო წლების განმავლობაში ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობით გამოირჩევა თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრი (დირიჟორი თ. ჯანელიძე), რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო სამაგალითო თეატრია ჩვენს ქვეყანაში. მის ყოველ ახალ სპექტაკლს ინტერესით ხვდებიან არა მარტო ნორჩები, არამედ ფიფროსი ასაკის მაყურებლებიც.

შარშან სექტემბერში თეატრმა დადგა რუმინელი დრამატურგის ა. პოპესკუს პიესა „მზის სხივი“, რომელმაც ახლახან დიდი გამარჯვება და სიხარული მოუტანა თეატრის კოლექტივს. საბჭოთა კავშირის სხვა თეატრების სპექტაკლებთან ერთად „მზის სხივი“ მონაწილეობდა საბჭოთა სცენაზე რუმინელ დრამატურგთა პიესებისადმი მიძღვნილ საკავშირო ფესტივალ-კონკურსში და დიდი წარმატებაც მოიპოვა.

სსრ კავშირის კულტურის საქმინისტრომ და სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ ეიერის დადაწყვეტილების საფუძველზე **დიპლომებითა** და **პრემიებით** დააჯილდოვა სპექტაკლის დამდგმელი, თეატრის მთავარი რეჟისორი **გ. სარჩიმელიძე** და მხატვარი **რ. გონდახსაზოვი**, ხოლო **თეატრის კოლექტივი** და სპექტაკლის მონაწილე **მსახიობები ე. გოგიჩაიშვილი** და **ც. ჩიხლაძე** დაჯილდოვდნენ **საპატიო სიგელებით.**

ლ. ყიფშიძე.

სამხრეთული პრეზიდენტი

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული მეკვალეობის მეურნეობები ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გზავნიან ათობით მილიონ ყვავილს: მიხაკს, ვარდს, ტიტას, ნარგიზს, სუმბულს....

კოდორის მეყვავილეობის საბჭოთა მეურნეობის სამხრეთის ყვავილების არომატითა და სილამაზით წელიწადის ნებისმიერ დროს ტკბებიან ლენინგრადელები. ქართველი მეყვავილეები მიმდინარე წელს კოდორიდან ჩრდილოეთში 6 მილიონ სხვადასხვა ყვავილს გაგზავნიან.

სურათზე: (მარცხნიდან): ქიმიკოსი-ენტომოლოგი სულიკო რეზნიძე, ოსტატი-მეყვავილე ავთანდილ კობახიძე და მოწინავე მეყვავილე ელენე ქადარია ლენინგრადში გასაგზავნად ამზადებენ მიხაკის მორიგ პარტიას.

ბ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფოლკლორული ექსპედიცია ლეონიძეთში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის მიერ წელს მოწყობილი ზამთრის ფოლკლორული ექსპედიცია რიგით მეხუთე იყო.

ექსპედიციას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ფილოლოგიის ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომლები **გ. კოპლატაძე** და **გ. ჯაფარიძე**, სტუდენტები — **ბ. ხარაიშვილი**, **ბ. ალუდაური** და **შ. ჭინჭარაული**, სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევდა ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი ქსენია სიხარულიძე.

ფოლკლორისტებმა სოფელ ხაჩმატში იმუშავეს 14 მთქმელინფორმატორთან. ჩაიწერეს ხალხური სიტყვიერების 500-ზე მეტი ნიმუში. განსაკუთრებით მდიდარი მასალა აღმოაჩინდათ ნინო, გიორგი, გოგია, ბაბო, ანიელ და გაგა ალუდაურებს, ბუბიკა ჭინჭარაულს, სანელა ლომკაცს, ნინო ორაბულს და სხვებს, ზოგიერთი მათგანი ავტორ-მთქმელიც იყო. მათ მიერ მოწოდებული მასალები ძვირფასი შენაძენია უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივისათვის, მომავალი მკვლევრებისათვის.

მ. არაბული,

ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი-მასწავლებელი.

გიორგი კულუმბეგოვის ძეგლი

ცხინვალი, (საქინფორმის კორ.). ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათში გაიმართა 1918 წელს სამხრეთ ოსეთის რევოლუციური გლეხთა კავშირის პირველი თავმჯდომარის, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყოფილი საგანგებო კომისრისა და პარტიის აღდგმის სამაზრო კომიტეტის (ამჟამად აღდგმის რაიონი) მდივნის გიორგი კულუმბეგოვის ძეგლის გახსნა.

ვანათი სამშობლოა ოსი რევოლუციონერისა, რომელიც ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა ბაქოში 1917 წლის 3 აპრილს.

ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ ბოლშევიკის თანამემამულენი, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ვეტერანები, აზერბაიჯანის სსრ აღდგმის რაიონის დელეგაცია.

სპორტი

ოლიმპიადა „სპორტლოტო“

როგორც ვიუწყებოდით, „სპორტლოტოს“ 1973 წლის მორიგი, მე-10 ტირაჟი გაიმართა 10 აპრილს ქ. არხანგელსკში. „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალურ სამმართველოში ცნობილი გახდა ამ ტირაჟის შედეგები. ჩვენი რესპუბლიკის „სპორტლოტოს“ ორმა მოყვარულმა ზუსტად ამოიცნო ხუთ-ხუთი ნომერი და მათი შესაბამისი სპორტის სახეობები. თვითეული მათგანი მიიღებს დიდ თანხას — 4.285 მანეთს. ოთხ-ოთხი ნომერი და მაინ ნესაბამისი სახეობები ამოიცნო 124 კაცმა, რისთვისაც თვითეული მათგანი მიიღებს 89 მანეთს, ხოლო 2.694 „სამოსანს“ სამი ნომრის ამოცნობისათვის ხვდათ ოთხ-ოთხი მანეთი.

მოგებული თანხების მიღება შეიძლება მიმდინარე წლის 21 აპრილიდან 20 მაისამდე.

გ. ფაილოძე.

მძლეოსნობა

„პრავდის“ პრიზზე

ახალციხეში გაიმართა სპორტსახოგადოება „კოლმეურნის“ მძლეოსნური კროსი გაზეთ „პრავდის“ პრიზზე, რომლის სტარტზე გამოვიდა 10 გუნდის 78 სპორტსმენი.

8-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა ზუგდიდის რაიონის სოფელ ონარიის ფიზკულტურის მასწავლებელმა ი. ცანავამ — 27 წუთი და 16 წამი. ბოგდანოვკელმა ვეტექიმმა ფ. ბლუდოვმა ადვილად მოიგო შეჯიბრება 5000 მეტრზე — 15.58,8. საქართველოს ნაკრების წევრმა ს. ხაჩატურიანმა (ახალციხე) პირველმა დაამთავრა სამკილომეტრიანი დისტანცია — 8.58. ნორჩმა ახალციხელმა მოსწავლემ ლ. პილშჩიკმა კარგი შედეგი აჩვენა 1000-მეტრიან დისტანციაზე — 3.14. ძლიერად განვლო 1500 მეტრი ზუგდიდელმა ს. გარდაგამ — 5.30,8. 19 წლის ტ. ლიტაბარგინამ (ბოგდანოვკა) გაიმარჯვა ორკილომეტრიან დისტანციაზე — 7.20.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა ბოგდანოვკის გუნდმა, მეორე ადგილზე არიან ახალციხელი სპორტსმენები, მესამეზე — ზუგდიდის მძლეოსნები.

ვ. ნალარაშვილი.

ჭადრაკი

ჩიბურდანიძე და იგნატიევა

ეს „დუეტი“ ლიდერობს „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატზე ათი ტურის შემდეგ. მათ 9 შეხვედრიდან შვიდ-შვიდი ქულა აქვთ. მეათე ტურში ჩიბურდანიძემ ლამაზი გამარჯვება მოიპოვა „დინამოს“ ჩემპიონ ოსტროსთან, იგნატიევამ კი დაამარცხა ბოლდმანი. ტიტორენკომ მოუგო ალანდარიშვილს, ალიევამ — ვეევერეს. ლიდერების კვალდაკვალ მიჰყვება ტიტორენკო, რომელსაც 10 შეხვედრიდან 7 ქულა აქვს. 9 პარტიიდან 6 ქულით მეუთხე ადგილზეა ოსტრი. ეს ოთხი მოჭადრაკე იბრძვის „დინამოს“ ჩემპიონის წოდებისათვის სამი დასკვნითი ტურის წინ.

სასამართლო დარბაზიდან

მკაცრი სასჯელი მექრთამეს

ახალციხის სანეპიდსადგურის მთავარმა ექიმმა ამირან გიორგაძემ ჯინჭარაძემ ბოროტად გამოიყენა თანამდებობა — ჯერ 1972 წლის აპრილ-მაისში სამუშაოზე მოწყობისათვის, ხოლო შემდეგ იმავე წლის დეკემბერში სამუშაოზე აღდგენისათვის მოქალაქე მარო პავლეს ასულ დავლაშერიძისაგან ქრთამის სახით 700 მანეთი მიიღო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ ახალციხის კოლტურის სახლში განიხილა ა. ჯინჭარაძის საქმე და თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და მექრთამეობისათვის მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა პირადი ქონების კონფისკაციით.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს მხატვართა კავშირი, საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გამოჩენილი საბჭოთა მხატვარი, პროფესორი

ვასილ ივანეს-ძე შუხაევი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.

უჩვენებს მოდელების სახლი





30 აპრილს დასავლეთ ბერლინში გაიხსნება საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა, რომელიც 15 მაისამდე გასტანს. ამ გამოფენაზე საქართველოს სპეციალური პავილიონი აქვს დათმობილი. აღსანიშნავია, რომ ექსპოზიციაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს მოდელების სახლი.

ქართველმა მოდელიორებმა ამ გამოფენისათვის სპეციალური კოსტიუმები შექმნეს. ჩვენი მანეკენები წარმოადგენენ ტანსაცმელს, რომელსაც ატარებენ ჩვენი ახალგაზრდები. ფართოდ იქნება ნაჩვენები აგრეთვე ქართულ ეროვნულ მოტივებზე შექმნილი მოდელები. აღსანიშნავია, რომ ყველა კოსტიუმი შეკერილია ადგილობრივი წარმოების ქსოვილისა გ ა ნ. დღეს ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ორ ნიმუშს. რუსულ მოტივებზე შექმნილი კაბები. ასეთი კაბები ძალზე მოხერხებულია ზაფხულში, აგარაკზე, დასვენებისათვის (მარცხნივ); საღამოს კაბა, ვარდისფერი, ოქროსფერი მძივებით ამოქარგული.

ყველა მოდელს ახლავს თავისი აქსესუარები — უხვად არის გამოყენებული ჰედური სამკაულები.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

ტელევიზია

18 აპრილი

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — ბავშვებისათვის „ხელგარჯილობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 —საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ისმინეთ იქითა ნაპირზე“. 16.20 — მოსწავლეთა დასახმარებლად — მათემატიკა (მეათეკლასელთა თ ვ ი ს. კლასგარეშე მუშაობა მათემატიკაში. ფაკულტატიური მეცადინ ე ობ ა), 17.00 — „ქიმია დასახმარებლად“, 17.45 — ახალი ამბები, 17.50 — — რეკლამა, 17.55 — საუბარი ეკონომიური საფუძვლების შემსწავლელთათვის, 18.10 — საშვილიერო პოპულარული ფილმი „ალკოპოლი და სამუშაო“ (ქართულ ენაზე), 18.20 — „ჩვენი რეიდი“, 18.40 — — „ცხრაკლიტული“ — თამაში-კონკურსი უფროსკლასელთათვის (განმეორებით), 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — „ერთი დღე საკამამძღვრო სამმართველოში“, 21.05 — ლიტერატურული თეატრი. რ. ჯაფარიძე „ჯარისკაცის ქვრივი“ (ნაწილი პირველი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ჯარისკაცის ქვრივი“ (ნაწილი მეორე).

მეორე პროგრამით

17.15 — მათემატიკა მეათეკლასელთათვის. (სრული მათემატიკური ინდუქციის შესახებ), 18.00 — განცხადებები 18.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციები: ტექნიკურ მექანიკაში, 19.05 — ხაზვაში; 20.05 — „კინოფ